

კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა

I ტური

მე-2 კლასი

სავარჯიშო I. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი: (60 ქულა)

- რამდენი ხმოვანი ასო-ბგერა გვაქვს ქართულ ანბანში?
ა) ოცი
ბ) ოცდაცამეტი
გ) ხუთი
- რომელია ანბანის მესამე ასო-ბგერა?
ა) დ
ბ) ხ
გ) გ
- რომელია ანბანის ბოლო ასო-ბგერა?
ა) უ
ბ) ჰ
გ) პ
- რა არის სახელწოდება ასო-ბგერისა „ვ“?
ა) დენი
ბ) ვინი
გ) განი
- რა არის სახელწოდება ასო-ბგერისა „თ“?
ა) თანი
ბ) ნორი
გ) სანი
- რამდენი ხმოვანია სიტყვაში „სამშობლო“?
ა) სამი
ბ) ექვსი
გ) ხუთი
- რამდენი ხმოვანია სიტყვაში „გაბრწყინებული“?
ა) ხუთი
ბ) ექვსი
გ) შვიდი
- რამდენმარცვლიანია სიტყვები: მზე, ცა, ზღვა?
ა) ერთმარცვლიანი
ბ) ორმარცვლიანი
გ) სამმარცვლიანი
- ჩამოთვლილთაგან რომელ სიტყვას დაესმის კითხვა „როგორი“?
ა) სულსწრაფი
ბ) შრიალი
გ) საბძელი
- რამდენმარცვლიანია წინადადება: „ათი წლის გიორგი მამამ ხახულის მონასტერში წაიყვანა“?
ა) ხუთი
ბ) ცხრამეტი
გ) ოცი
- რომელი სიტყვაა არასწორად დაწერილი?
ა) გულკეთილი
ბ) დაძმა
გ) ქამარ-ხანჯალი
- რამდენი უსულო არსებითი სახელია წინადადებაში: „გვრიტი გალიის მსგავს მახეში მოჰყვა“?
ა) ორი
ბ) ოთხი
გ) სამი
- რომელია წინადადება?
ა) საჭმელი
ბ) ქალაქი
გ) მამა მოვიდა.
- რამდენ სიტყვას დაესმის კითხვა - რა? წინადადებაში:
„ფუტკარს ეამა და ჭიანჭველას გაუღიმა.“
ა) ორს
ბ) სამს
გ) ოთხს
- „უღონო პეპელა კი მარტო ყვავილებზე დაფრთხილებს.“ - ხაზგასმულ სიტყვას დაესმის კითხვა:
ა) რამდენი?
ბ) რა?
გ) როგორი?
- „ანდრია მარდად გადახტა ყანაში.“ - ხაზგასმულ სიტყვას დაესმის კითხვა:
ა) სად?
ბ) როგორი?
გ) რამდენი?
- „ ცოტა მოვშორდით ბუდეს და იქვე ახლო ჩავსხედით ჩუმად.“ - ხაზგასმულ სიტყვებს დაესმის კითხვა:
ა) რა?
ბ) რა ვქენით?
გ) ვინ?
- „მზრუნველობით გადახედა ბუდეს და შემდეგ გოგმანით მიირბინა დედა მწყერთან.“ - ხაზგასმულ სიტყვებს დაესმის კითხვა?
ა) რა ჰქნა?
ბ) ვინ?
გ) რამდენი?

